

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში**

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)	თენგიზ მთვარელიშვილი
თანამდებობის დასახელება	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება	„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება:	საფინანსო საბიუჯეტო კომისია, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია საკრებულოს მაჟორიტარი წევრი აღმოსავლეთ თელავში (საარჩევნო ოლქი N17/02)
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)	

საანგარიშო პერიოდი	2022 წლის 01 ნოემბრიდან დან 2023 წლის
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)	ნოემბრამდე რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. 1 სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 14
საკრებულოს სხდომებზე დასწრება 12

1.2 სულ კომისიის სხდომების რაოდენობა -12

კომისიის სხდომებზე დასწრება - 1

1.3 სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -4

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - დავესწარი 3 სხდომას.

1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

საანგარიშო პერიოდში ჩემი უშუალო ინიციატივით და მონაწილეობით, ასევე საერთაშორისო ექსპერტულ ორგანიზაციებთან აქტიური კონსულტაციების გზით, საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის ახალი რედაქცია. ახალი რედაქციით შემოღებულ იქნა ისეთი საზედამხვედველო მექანიზმი, როგორიცაა თემატური მოკვლევა, მუნიციპალიტეტისთვის და საზოადოებისათვის აქტუალურ საკითხების შესწავლის მიზნით.

ჩემი აქტიური ჩართულობით განხორციელდა ცვლილება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფების შემოღებისა და მგზავრთა გადაყვანის რეგულირების წესში, კერძოდ მგზავრობის საშეღავათო პირობების ყველა სტუდენტზე გავრცელების შესახებ, განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა.

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების აღსრულების მიზნით, ჩემი ინიციატივით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გამოყოფილ იქნა თანხა 60000 ლარის ოდენობით.

თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სახჭოს გაძლიერების მიზნით, ჩემი ინიციატივით ბიუჯეტში გათვალისწინებულ თანხა -15000 ლარის ოდენობით.

მხარი დავუჭირე თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნას, რომლის მიზანიცაა ქ. თელავში სატრასპორტო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელება და მოდერნიზებული მოსაცდელების განთავსება.

ვიყავი ერთერთი ინიციატორი თელავის მუნიციპალიტეტი „საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების წესის“ შესახებ დადგენილების მიღებისა. დადგენილების მიხედვით შემოღებულ იქნა ქეთევან იაშვილის სახელობის ჯილდო, რომელიც გადაეცემა მეცენატს, თელავის პუპულარიზაციისთვის.

1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: მხარი დავუჭირე თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტს.

მხარი დავუჭირე ასევე მუნიციპალიტეტისთვის ისეთ მნიშვნელოვან სკითხს, როგორიცაა სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ თელავის მინიციპალიტეტის სოფელ გულგულაში 37 144 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემას, სადაც აშენედება სასწავლო ცენტრი მრავალფეროვანი პროფესიული სწავლებისთვის მევენახეობა -მეღვინეობის მიმართულებით.

1.6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა

და შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა

მოქალაქეებთან შეხვედრას აქვს რეგულარული ხასიათი

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: ჩემს სამაჟორიტარო უბანში მოსახლეობასთან შეხვედრებისას, მოვისმინე იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც არსებობს აღმოსავლეთ თელავში კერძოდ: მოსახლეობისთვის ძირითად პრობლემად რჩება წყლის სისტემის და გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შედგადა შექმნილი პრობლემები, რომელიც ეტაპობრივად მოგვარდება.

1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები
(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოს მიმართ წარდგენილი მაქვს სარეკომენდაციი სახის წინადადებები მერის მიერ ინიცირებული პროექტებზე სამარართლებრივი აქტების დასაბუთების მოთხოვნით.

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- ჩემი როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, უფლებამოსილების განხორციელებისას მომზადებულია რეკომენდაციები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა თელავის მუნიციპალიტეტში წოდებებისა და ჯილდოების ერთიანი წესის შემუშავების შესახებ და ამ წესში თელავისთვის მნიშვნელოვანი და ღირსეული მეცნატი ქალის ქეთევან იაშვილის სახელობის ჯილდოს შემოღების შესახებ;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს სხვა წევრებთან ერთად მომზადებული მაქვს რეკომენდაციები უპოვართა სასადილოში ბენეფიციართა მომსხურების გაუმჯობესების თემაზე;
- ვაწარმოებ აქტიურ მოლაპარაკებებს გაეროს განვითარების ფონდთან საკრებულოს სხდომების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სხდომების ტრანსლირებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების მისაღებად.
- აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ფორმების დამკვიდრებაზე.

საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორის, ქალბატონ საბინე მახლის მოწვევით მთავარი მომხსენებელი /სპიკერის სტატუსით მონაწილეობა მივიღე, საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მომავლის საკითხებისადმი მიძღვნილ პანელურ დისკუსიაში.

3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები

- მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება მუნიციპალიტეტისთვის ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება, როგორიცაა ქ. თელავის განვითარების გენერალური გეგმა.

შევსების თარიღი: 30.11.2023წ

წარდგენის თარიღი: 31.11.2023წ

ხელმოწერა